დანგრეული ბუდეები

რუს-იაპონიის ომის შემდეგ ერთი ჩემი კარგი ნაცნობი მოგზაურობდა.

რამდენჯერმე ვთხოვე დაემუშავებინა თავისი დღიური.

მპირდებოდა.

ახლანდელი ომის დაწყებისთანავე ჩემი ნაცნობი ჯარში გაიწვიეს.

გამოთხოვებისას თავისი ძველი დღიური გადმომცა და მითხრა: მე ცოცხალი ვერ დავბრუნდები -- იქნებ შენ მაინც ისარგებლო ჩემის შენიშვნებით... მართალია, ძლიერ არეულათაა დაწერილი, ზოგიერთ რამეს მაინც გაიგებო.

წინასწარმეტყველება აუხდა --- პირველ შეტაკებაში ჩემი ნაცნობი მოჰკლეს.

გულწრფელი ადამიანის და კეთილი ნაცნობის სურვილს ვასრულებ.

თუ მკითხველს რამე მოეწონება, შენდობა გაუგზავნოს განსვენებულს, უსახელო ავტორს; ნაკლულოვანებანი -- ჩემი დანაშაულია.

ამ დღიურის სათაურათ უკეთესი ვერ მოვნახე: დანგრეული ბუდეები.